

რამაზ ხუროძე



1961 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. მან ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა 1966 წელს.

1966 წელს რამაზ ხუროძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1972 წელს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. 1975 წელს გამოთვლითი ტექნიკის დარგში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1997 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1972-1981 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და ასრულებდა აკადემიის პრეზიდიუმის გამოთვლითი ტექნიკის კომისიის სწავლული მდივნის მოვალეობას. 1978-1979 წლებში სამეცნიერო მივლინებით კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (აშშ) იმყოფებოდა. 1981 წელს სამეცნიერო კვლევების

ჩასატარებლად მივლინებული იყო ფინეთში, ჰელსინკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

1981-1982 წლებში იგი მართვის სისტემების ინსტიტუტის მეცნიერული გამოკვლევების ავტომატიზაციის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. პარალელურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე. 1982 წლიდან რ. ხუროძე საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების ინსტრუქტორად, 1986-1987 კი წლებში საქართველოს კვ. თბილისის კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა. 1987-1988 წლებში საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, 1988-1991 წლებში – საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე იყო. 1991 წელს დაინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორად კადრებისა და კომერციული საქმიანობის დარგში. იმავე წელს არჩეულ იქნა ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის დოცენტად. 1993 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა.

1992 წელს რ. ხუროძე უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად აირჩია. 1998 წელს რ. ხუროძე სტუ-ს დიდმა საბჭომ ხელმეორედ აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. ამავე წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. 2002 წელს მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის რ. ხუროძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. 2019 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

იგი კანონიერად ითვლება საქართველოში მართვის სისტემების ანალოგურ მოწყობილობათა საიმედოობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. ამ კუთხით მას გამოქვეყნებული აქვს 116-ზე მეტი ნაშრომი,

მათ შორის, 15 მონოგრაფია, 13 სახელმძღვანელო და 2 გამოგონება. მისი შრომები გამოქვეყნებულია არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ – რუსეთში, უკრაინაში, აშშ, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიასა და სხვ. იგი უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილი წევრია. 2003 წელს პროფესორი რ. ხუროძე Sigma Xi, the Scientific Research Society-ის წევრად აირჩიეს. იგი ასევე არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რუსული აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, გაერთიანებული ერების ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

რექტორობის წლებში რ. ხუროძის ხელმძღვანელობით ტექნიკურ უნივერსიტეტში მრავალი საერთაშორისო კონფერენცია და სიმპოზიუმი ჩატარდა ენერგეტიკის, დიდი სისტემების მართვის, გამოყენებითი პროგრამული ტექნოლოგიების, ეკოლოგიის, “დიდი აბრეშუმის გზის” საერთაშორისო პროექტის განხორციელების, ნავთობ-გაზსადენების მშენებლობისა და სხვა აქტუალურ პრობლემებზე. საფუძველი ჩაეყარა რამდენიმე სამეცნიერო-ტექნიკური პროფილის ჟურნალის გამოცემას. მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები.

რ. ხუროძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2002 წლის დეკემბერში ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის ოქროს მედალი “საქართველოს წარჩინებულ მოღვაწეს”.

რამაზ ხუროძის რექტორობისას სტუ-ში განხორციელდა:

პირველივე წლებში “საუნივერსიტეტო განათლების კონცეფციის” საფუძველზე ტექნიკური უნივერსიტეტი სრულად გადავიდა სწავლების ორსაფეხურიან სისტემაზე (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) და

შესაბამისად გადამუშავდა სასწავლო გეგმები და პროგრამები; დაინერგა სასწავლო პროცესის მართვის საკრედიტო სისტემა;

ჩამოყალიბდა ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია, სპეციალობების გამსხვილების ბაზაზე დაფუძნდა ახალი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულების დეპარტამენტები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

ფართო მასშტაბები შეიძინა სტუ ავიაციის ინსტიტუტის საქმიანობამ, რომელიც უნიკალურია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თავისი შესაძლებლობებით, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობით. ინსტიტუტმა უკვე გამოუშვა მაღალი კლასის პირველი მფრინავი ოფიცრები.

დაარსდა, განვითარდა და გაფართოვდა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი. გამოიკვეთა ჰუმანიტარული პროფილის სპეციალობებისაკენ ახალგაზრდების სწრაფვის ტენდენციები.

გაფართოვდა და განმტკიცდა ფაკულტეტების, ინსტიტუტების, დეპარტამენტებისა და კათედრების სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო პოტენციალი, კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა და სხვ.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან საგარეო კავშირების გასაფართოებლად. ჩამოყალიბდა ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი, სადაც სახელმწიფოს მართვის მოხელეთა მომზადებას ჩაეყარა საფუძველი.

1997 წელს მისი ხელმძღვანელობით ფართოდ აღინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 75-ე წლისთავი. საიუბილეოდ დაწესდა სტუ უმაღლესი ჯილდო – ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საინჟინრო დარგის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი.

საფუძველი ჩაეყარა მარნეულის საერთაშორისო ნავთობ-გაზსადენების, თელავის, სენაკისა და ამბროლაურის ფაკულტეტებს.

1997 წელს დაფუძნდა გერმანულენოვანი ფაკულტეტი, სადაც უკვე რამდენიმე წელია გერმანელი მეცნიერების ხელმძღვანელობით ბიზნესის სამართლის სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა უნივერსიტეტის საგამომცემლო ბაზა, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემას.

ექსპლუატაციაში შევიდა უნივერსიტეტის რადიოსადგური "უნივერსი" /103,9 mghc/. გაიხსნა საგამოფენო-კულტურული ცენტრი "უნივერსი". ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

1999 წლიდან სტუ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში გაერთიანდა.

ამავე წელს ქართული საინჟინრო აზრის დიდ გამარჯვებად იქცა სტუ-ს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შექმნილი ანტენა-რეფლექტორის კოსმოსში გაშვება, რითაც საფუძველი ჩაეყარა "დიდი აბრეშუმის გზის" მომსახურებისათვის სატელეკომუნიკაციო სისტემების შექმნას.

2000 წლის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ატლანტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ერთობლივ კონსორციუმს - "კავკასიის ბიზნესის სკოლას" (დღეს კავკასიის უნივერსიტეტი), რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

რ. ხუროძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა სამეცნიერო-საპროექტო გაერთიანება "გეოინჟინერინგი", რომელმაც მოკლე ხანში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი საერთაშორისო ISO სტანდარტის მფლობელი გახდა.

2001 წლის 28 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევისა და რ. ხუროძის

ერთობლივი მონდომებით ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა თეოლოგიის კათედრა.

2002 წლის შემოდგომაზე რ. ხუროძის ხელმძღვანელობით აღინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 80 წლისთავი.

საიუბილეოდ ადმინისტრაციულ კორპუსში გაიხსნა წმ. გიორგის სახელობის სამლოცველო;

დაფუძნდა ფრანგულ-ქართული ინსტიტუტი, სადაც ფრანგი მეცნიერების მონაწილეობით დაიწყო კადრების მომზადება ეკონომიკისა და ინფორმატიკის სპეციალობებში.

მწეობრში შევიდა ერთიანი საუნივერსიტეტო ოპტიკური კომპიუტერული ქსელი. კათედრები, დეპარტამენტები, ფაკულტეტები და სამეცნიერო ლაბორატორიები ფართოდ იყენებენ ინტერნეტით მომსახურებას.

უნივერსიტეტში გაიხსნა მძლავრი კომპიუტერული ცენტრი და საფუძველი ჩაეყარა დისტანციურ სწავლებას, შეიქმნა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ბოლო წლებში გაფართოვდა საინჟინრო პროფილის სამენეჯერო მომზადების არეალი. დამუშავდა ახალი კურსები, ჩამოყალიბდა სასწავლო მოდულები, მმართველობითი უნარ-ჩვევების სწავლებამ სრულიად ახალი შინაარსი შეიძინა. მიმდინარეობს საინჟინრო დარგის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება საბაზრო ეკონომიკის პრინციპის შესაბამისად. მთლიანად, სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და მართვა, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად ხორციელდება. რ. ხუროძემ, თავისი გამოცდილება წიგნში "ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან" გამოაქვეყნა (2002 წელი).

ამჟამად, აკადემიკოსი რ. ხუროძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრს ხელმძღვანელობს. იგი უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორია.

Ramaz Khurodze

Ramaz Khurodze graduated from Tbilisi Secondary School No. 55 in 1961 with a gold medal and enrolled at the Faculty of Automation and Computer Engineering of the Georgian Technical University, which he graduated with honors in 1966.

In 1966 Ramaz Khurodze started working as a researcher at the Institute of Management Systems of the Georgian Academy of Sciences. In 1972 he enrolled in the postgraduate program of the Institute of Management Problems of the USSR Academy of Sciences in Moscow. In 1975 he defended his thesis for the degree of Candidate of Technical Sciences in the field of Computer Technology, and in 1997 for the degree of Doctor of Technical Sciences.

After graduating from the postgraduate course in 1972-1981, he started working as a senior researcher at the Institute of Control Systems of the Georgian Academy of Sciences and acted as the Academic Secretary of the Computer Technology Commission at the Presidium of the Academy. From 1978 to 1979 he was sent on a business trip to the California Institute of Technology (USA), followed by a business trip to Finland, to the Helsinki University of Technology in 1981.

From 1981 to 1982, Mr. Khurodze headed the Department of Automation of Scientific Research at the Institute of Control Systems and simultaneously delivered lectures at the Faculty of Automation and Computer Engineering at the Georgian Technical University. From 1982, R. Khurodze worked as an instructor of the Department of Science and Educational Institutions of the Central Committee of the Communist Party of Georgia, and in 1986-1987 he worked as the head of the Department of Science and Educational Institutions of the Tbilisi Committee of the

Communist Party of Georgia. In 1987-1988 he was the First Deputy Minister of Higher and Secondary Special Education of Georgia, in 1988-1991 he served as the Deputy Minister of Public Education of Georgia. In 1991 he was appointed Vice-Rector of the Georgian Technical University in the field of Human Resources and Commercial Activities. In the same year he was elected Associate Professor of the Department of Automation and Telemechanics. In 1993 he was awarded the title of Professor.

In 1992, R. Khurodze was elected rector of the Georgian Technical University by the Grand Council of the University. In 1998, R. Khurodze was re-elected by the GTU Grand Council as the Rector of the University. In the same year he was awarded the Georgian State Award in the field of science and technology. For his outstanding contribution to the development of science, in 2002, R. Khurodze was elected a member-correspondent of the Georgian Academy of Sciences; in 2019 - as a full member of the Academy (Academician).

He is legally considered to be one of the founders of the scientific direction of analog devices of control systems in Georgia. In this regard he has published more than 116 papers, including 15 monographs, 13 manuals and 2 inventions. His works have been published not only in Georgia, but also abroad - in Russia, the Ukraine, the USA, Germany, the Netherlands, Belgium and others. He is a true member of the scientific community in many foreign countries. In 2003, Professor R. Khurodze was elected a member of Sigma Xi, the Scientific Research Society. He is also an Academician of the Russian Academy of Natural Sciences, an Academician of the International Academy of Engineering, an Academic of the UN International Informatization Academy, a member of the European Academy of Sciences, an Academician of the Georgian Academy of Engineering.

Under R. Khurodze's leadership, numerous international conferences and symposiums were held at the Technical University on energy, large systems

management, applied software technologies, ecology, the implementation of the Great Silk Road international project, the construction of oil and gas pipelines and other topical issues. The foundation was laid for the publication of several scientific-technical journals. Under his leadership, scientific and technical conferences of GTU professors were held.

R. Khurodze has been awarded the Order of Honour. In December of 2002, the President of Georgia awarded him the Gold Medal "Outstanding Figure of Georgia" for his outstanding contribution to the education and training of young people.

During Ramaz Khurodze's rectorship in GTU:

In the first years, on the basis of the "concept of university education", the Technical University was completely transferred to a two-level system of education (undergraduate and graduate) and accordingly, the curricula were revised; Credit system for management of educational process was introduced;

Quality assurance methodology was established, on the basis of the expansion of specialization, departments of new structural divisions of the University were created. Georgian Technical University joined the Bologna Process.

The activities of the GTU Aviation Institute, which is unique in terms of material and technical bases, its capabilities, and the composition of professors, has acquired a large scale. The institute has already produced the first high-class flying officers.

The Faculty of Humanities was established, developed and expanded. The tendencies of young people to aspire to the specialties of the humanitarian profile were revealed.

The teaching-methodological and scientific potential of faculties, institutes, departments, provision of computer equipment, etc. have been expanded and strengthened.

Important steps have been taken to expand external links with foreign universities and research centers. The Georgian-American University was established, where the foundation was laid for the training of government officials.

In 1997, under his leadership, the 75th anniversary of the founding of the Georgian Technical University was widely celebrated. GTU Higher Award was established - the medal is named after the famous Georgian scientist and prominent figure in the field of engineering, Giorgi Nikoladze.

The foundation was laid for the faculties of Marneuli International Oil and Gas Pipelines, Telavi, Senaki and Ambrolauri.

The German-language faculty was founded in 1997, where specialists in business law have been trained under the guidance of German scientists for several years. The publishing base of the University has been significantly expanded and equipped with modern equipment, which fully ensures the publication of teaching-methodological and scientific literature.

The university radio station "Universe"/103.9 mghc/was put into operation. Exhibition-cultural center "Universe" was opened. A public relations office was established.

Since 1999, GTU has joined the Association of European Universities.

In the same year, the launch of the antenna-reflector into space, created by the GTU Institute of Space Structures, became a great victory for Georgian engineering, thus laying a foundation for the creation of telecommunication systems for the services of the "Great Silk Road".

In the beginning of 2000, the foundation was laid for a joint consortium - "Caucasus School of Business" (now Caucasus University) - between Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University and Atlanta Technological University, Georgia. The school awarded graduates with bachelor's, master's, and doctoral degrees in accordance with Georgian law.

With R. Khurodze's initiative and active participation, the scientific-project union "Geoengineering" was established, which soon gained international recognition. He became the holder of an international ISO standard.

On September 28, 2001, with the blessing of the Catholicos-Patriarch of Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II and the joint efforts of R. Khurodze, the Department of Theology was established at the Technical University.

In the fall of 2002, under R. Khurodze's leadership, the 80th anniversary of the Georgian Technical University was celebrated.

The celebration took place in the administrative building of the St. George Chapel;

The French-Georgian Institute was established, where the training of specialists in economics and informatics began with the participation of French scientists.

A unified university optical computer network was put in place.

Departments, faculties, and science laboratories make extensive use of the Internet services.

A powerful computer center was opened at the university and the foundation was laid for distance learning, the university electronic library was established.

In recent years, the area of managerial training of the engineering profession has expanded. New courses and training modules have been

developed, the teaching of management skills acquired a whole new definition. Young specialists in the field of engineering are being trained in accordance with the principle of market economy. Overall, the organization and management of the learning process is carried out in accordance with the priorities of socio-economic development in the country. R. Khurodze published his experience in the book "New People Create New Times" (2002).

Currently, Academician R. Khurodze is the head of the Professional Development Center of the Georgian Technical University. He is an Emeritus Professor at the University.